



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

არქიტექტურის ფაკულტეტი

### სამაგისტრო პროგრამა

არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი

პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები:

არქიტექტურის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი: თეიმურაზ ჯორჯაძე

დამტკიცებულია თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს მიერ

**2024 წლის 4 მარტის სხდომის ოქმი №10**

თსსა აკადემიური საბჭოს მიერ

**2024 წლის 6 მარტის სხდომის ოქმი №42**

## სამაგისტრო პროგრამის არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი ზოგადი დახასიათება:

თანამედროვე ტექნოლოგიათა განვითარებამ თვისობრივად შეცვალა და მრავალფეროვანი გახადა არქიტექტურული გარემოსა და ინტერიერის დიზაინის ვიზუალური გამოსახვის ფორმები და ესთეტიკა; მოგვცა ამოცანების ორიგინალურ ჭრილში წარმოდგენისა და გადაწყვეტის საშუალებები;

დღეს არქიტექტურაში /იქნება ეს ქალაქის ცენტრალური, თანამედროვე, თუ ისტორიული უბნები, პარკები ან ცალკეული ნაგებობები /განათებისა და ფერის გამოყენება ვიზუალური გამოსახვის ყველაზე აქტუალურ და ეფექტურ საშუალებად რჩება. ამან კი თავის მხრივ განაპირობა არქიტექტურაში ახალი სინთეზური მიმართულების გაჩენა.

სამაგისტრო პროგრამა "არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი" სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე 2008 წლიდან ფუნქციონირებს და მასში თავმოყრილია არქიტექტურული დიზაინის თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მიმართულებები, თანამედროვე ტექნოლოგიათა უახლესი თეორია და პრაქტიკა, სინათლისა და ფერის გამოყენების მეთოდოლოგია, გარემოში ადამიანზე განათების, ფერისა და ბგერის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ასპექტები, საინჟინრო დისციპლინები, ეკონომიკური საკითხები;

პროგრამა ეფუძნება სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ყოველმხრივ უწყობს ხელს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

საქართველოში არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესებმა ახალმშენებლობების და ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია რეგენერაციისას განსაკუთრებით აქტუალური გახადა არქიტექტურაში ფერის და განათებისა დიზაინის მიმართულების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტების აღზრდა.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და მიღებული ინფორმაციის ინტეგრირებით ექნება არქიტექტურული დიზაინის ინოვაციური პროექტის შექმნის უნარი.

**ფართო სფერო** - 07 ონჟინერია, წარმოება და მშენებლობა Engineering, Manufacturing and Construction

**ვიწრო სფერო** 073 არქიტექტურა და მშენებლობა- Engineering, Manufacturing and Construction

**დეტალური სფერო ( ქვედარგი/სპეციალიზაცია) 0731 არქიტექტურა და ქალაქგეგმარება-  
Architecture and Town Planning**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია \_ 0731. 2. 1 არქიტექტურაში ფერის და განათების  
დიზაინის მაგისტრი Master of Architectural Lighting and Color Design  
სწავლების ენა \_ ქართულიU**

**განათლების საფეხური - მაგისტრატურა**

**პროგრამის მოცულობა: 132 კრედიტი (ECTS)**

**სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი, 4 სემესტრი**

**პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დოქტორი  
თეიმურაზ ჯორჯაძე.**

### **1.1. პროგრამის მიზანი**

უზრუნველყოს არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინის მაგისტრისათვის ისეთი კომპლექსური, თეორიული, და პრაქტიკული, (გეგმარებით სივრცითი, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, ინჟინერულ-ტექნიკური, მხატვრულ-ესთეტიკური, ) ცოდნის გადაცემა, რომლის საფუძველზეც მაგისტრი შეძლებს სხვადასხვა მიმართულებებიდან ძირითადი კომპონენტების ერთ მთლიანობაში ინტეგრირებას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად არქიტექტურული სივრცითი დიზაინის ორგანიზებას.

პროგრამის მიზანია, აგრეთვე არქიტექტურაში ფერის და განათებისა დიზაინის მაგისტრის მაღალკვალიფიცირებული, ინტელექტუალური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის აღზრდა, რომელიც ვიზუალური, ტექნიკური და ესთეტიკური ასპექტების ინტეგრირებით, შესძლებს თანამედროვე არქიტექტურულ დიზაინში ფერის და განათებისა საპროექტო და სამშენებლო ამოცანების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას, პრაქტიკაში გამოყენებას და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ორგანიზებას.

### **სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:**

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის ან ხელოვნების , ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხოურ ენაში( ინგლისურში, გერმანულში ან ფრანგულში BII დონე) და სპეციალობაში. სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების, უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორტფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით ( CV, მოტივაციის წერილი, სარეკომენდაციო წერილი, ნიშნების ფურცელი)

დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.art.edu.ge](http://www.art.edu.ge) განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის შესახებ. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ: I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხოქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხოქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე (იხ. თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი)

#### **საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა:**

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი, აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან, წლის ხანგრძლივობა 42 კვირა; სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირა, აქედან: 15 სააუდიტორიო, 3 სასესიო, 1 დამატებითი გამოცდის კვირა და 2 კვირა პრაქტიკის; სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება არქიტექტურაში ფერის და განათებისა დიზაინის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიშნულის დიპლომი. ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრის დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი “დიპლომის დანართი“.

#### **სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა**

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 132 ECTS და მისი სტრუქტურა ამდაგვარია :**

- სპეციალობის/მირითადი სავალდებულო საგნები 94 ECTS
- სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნები 12 ECTS
- არჩევითი საგნები 2 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი 24 ECTS

**სპეციალობის სავალდებულო საგნები შემდეგ მიმართულებად იყოფა:**

- სპეციალობის (პრაქტიკული) საგნები - 46 ECTS
- სპეციალობის განმსაზღვრელი ტექნიკური საგნები 20 ECTS

- სპეციალობის განმსაზღვრელი თეორიული საგნები - 18 ECTS
- საინჟინრო სპეციალობის საგნები - 10 ECTS